საქართველოს მთავრობის

დადგენილება №451

2012 წლის 19 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის №278 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის №278 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14.07.2011, 200030000.10.003.016438) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესისა და პირობების“ მე-4 მუხლის:

1. პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. 3^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**